Sovtransavrto Holding v. Ukraine

სოვტრანსავრტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ

(განაცხადი no. 48553/99)

სტრასბურგი

2002 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება

წინამდებარე საქმეზე აპლიკანტი, ''Sovtransavto Holding'', არის 1993 წელს შექმნილი რუსეთის საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანია, რომელსაც რეგისტრირებული ოფისი მოსკოვში აქვს. 1993-1997 წლებში, აღნიშნული კომპანია ფლობდა უკრაინის სააქციო საზოგადოების, ''Sovtransavto-Lugansk-ის'', აქციების 49%-ს.

1996 წელს ''Sovtransavto-Lugansk-მა'' მომჩივან კომპანიასთან კონსულტაციის გარეშე გადაწყვიტა, შეეცვალა საკუთარი წესდება და, სააქციო კაპიტალის გაზრდით, კომპანიის მენეჯმენტსა და აქტივებზე კონტროლი მოიპოვა. ''Sovtransavto-Lugansk-ის'' აქციონერთა საერთო კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვით შეიცვალა კომპანიის მემორანდუმი და წესდება და კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიად გარდაიქმნა. ლუგანსკის აღმასრულებელმა საბჭომ, კანონის თანახმად შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილმა მუნიციპალურმა ორგანომ, დაამტკიცა საერთო კრების ზემოხსენებული გადაწყვეტილება.

მომჩივანმა კომპანიამ უკრაინის სასამართლოებში სარჩელი აღძრა ''Sovtransavto-Lugansk-ისა'' და ლუგანსკის აღმასრულებელი საბჭოს წინააღმდეგ. აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ წესდების შეცვლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები უკანონო იყო, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების დარღვევით, საერთო კრება გაიმართა მომჩივანი კომპანიის წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე. საბოლოოდ, აპლიკანტი კომპანიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი კომპანია დავობდა კონვენციის მე-6 მუხლისა და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის თაობაზე.

2002 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტმა კომპანიამ ვერ ისარგებლა სამართლიანი საჯარო განხილვით მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ტრიბუნალის წინაშე, კერძოდ, იმ საფუძვლით, რომ სამართალწარმოებაში არაერთხელ ჩაერია უკრაინის აღმასრულებელი ხელისუფლება.

აპლიკანტი კომპანია კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ ლუგანსკის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ''Sovtransavto-Lugansk-ის'' უკანონო გადაწყვეტილების დამტკიცებით, შემცირდა კომპანიაში მისი აქციების

ღირებულება; აგრეთვე, შედეგად, მან დაკარგა კონტროლი კომპანიის საქმიანობასა და აქტივებზე, ხოლო წილი 49%-დან 20,7%-მდე შემცირდა.. მომჩივანმა კომპანიამ ასევე განაცხადა, რომ „Sovtransavto-Lugansk-ის'' ლიკვიდაციის შედეგად მისთვის მიცემული თანხა არ იყო თავდაპირველი წილის პროპორციული.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აპლიკანტი კომპანიის საჩივარი ეხებოდა ხელისუფლების უუნარობას, შეესრულებინა საკუთარი ვალდებულება და კანონის შესაბამისად ეფექტიანი კონტროლი განეხორციელებინა ''Sovtransavto-Lugansk-ის'' საქმიანობაზე; შედეგად, ეროვნულმა ხელისუფლებამ ''Sovtransavto-Lugansk-ის'' უფლება მისცა მიეღო უკანონო რეზოლუციები სააქციო კაპიტალის გაზრდისა და წესდების შეცვლის თაობაზე. ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ განსაზღვრული ქმედებების ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით მისი იურისდიქცია შეზღუდულია; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამოცანა არ არის ჩაანაცვლოს ეროვნული სასამართლოები. პირველ ყოვლისა, ეროვნულმა ხელისუფლებამ, სახელდობრ, სასამართლოებმა, უნდა განიხილონ კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა, ევროპულმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები რამდენად შესაბამისობაშია მომჩივანი კომპანიის უფლებასთან - შეუფერხებლად ისარგებლოს საკუთრების უფლებით.

ევროსასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად: ,,მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის... განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს''. კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებით ეფექტიანად სარგებლობის უზრუნველყოფის ვალდებულება მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებსაც. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან მიმართებით პოზიტიური ვალდებულებები გულისხმობს გარკვეული ღონისძიებების გატარებას საკუთრების უფლების დაცვის მიზნით, მაშინაც კი თუ დავა კერძო პირებს ან კომპანიებს შორის მიმდინარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ისეთი სამართალწარმოება, რომელიც ითვალისწინებს პროცედურულ გარანტიებს. შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოებს მიეცემათ შესაძლებლობა ეფექტიანად და სამართლიანად გადაწყვიტონ კერძო პირებს შორის არსებული დავა.

წინამდებარე საქმეზე ევროპულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს რამდენად შესაბამისობაში იყო ეროვნული სასამართლოების მიერ კანონმდებლობის განმარტება ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებთან.

სასამართლოს მიაჩნია, რომ აპლიკანტის საქმის განხილვის არასამართლიანობას პირდაპირი შედეგი ჰქონდა კომპანიის უფლებაზე - შეუფერხებლად ესარგებლა საკუთრების უფლებით. უდავოა, რომ ფაქტების დამდგენი სასამართლოების მიერ უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების უარყოფამ, ისევე როგორც, კანონმდებლობის

გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინსტანციების მიერ გამოვლენილმა განსხვავებულმა მიდგომამ, შესაძლებელი გახადა სადავო სამართალწარმოების რამდენჯერმე ხელახლა დაწყება; ეს კი წარმოშობდა გაურკვევლობას ''Sovtransavto-Lugansk-ისა'' და ლუგანსკის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებასთან დაკავშირებით. ამას ემატებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა სასამართლო პროცესში. საბოლოოდ, სამართალწარმოების დასრულების ფორმა არ შეესაბამებოდა სახელმწიფოს ვალდებულებას, აპლიკანტი კომპანიის საქმე სათანადოდ განეხილა. შედეგად, მომჩივანი კომპანია უნდა შეგუებოდა გაურკვევლობას იმ ფონზე, როდესაც მისი თავდაპირველი წილი შემცირდა და მან დაკარგა კონტროლი ''Sovtransavto-Lugansk-ის'' მენეჯმენტსა და აქტივებზე.

ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ის ფორმა როგორც წარიმართა და დასრულდა სამართალწარმოება ვერ იცავდა ,,სამართლიან ბალანსს'' საჯარო ინტერესების მოთხოვნებსა და აპლიკანტი კომპანიის საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლების დაცვას შორის. შესაბამისად, სახელმწიფომ ვერ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველეყო კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული საკუთრების უფლების დაცვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა დაადგინა.